ჩვენი ტყე
– იდეების კრებული საგანმანათლებლო
აქტივობებისათვის

ჩვენი ტყე

ჩვენი ტყე – იდეების კრებული საგანმანათლებლო აქტივობებისათვის

-საგანმანათლებლო მოდულების კრებული სათაურით „ჩვენი ტყე – იდეების კრებული საგანმანათლებლო აქტივობებისათვის“ ხელმისაწვდომია “შემოქმედებითი ნამუშევრის (CC- Creative Commons)” საერთაშორისო ლიცენზიის 4.0 პაკეტის ფარგლებში, რომელიც იძლევა სხვაგვარად საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევრების არაკომერციული მიზნით გამოყენების უფლებას. წინამდებარე მოდული შეიქმნა ეკოგანვითარების ფონდის (პოლონეთი) და შავი ზღვის ეკოაკადემიის (საქართველო) მიერ განხორციელებული პროექტის - „ჩვენი ტყე-აქტიური ეკოლოგიური განათლება მაჭახელას ეროვნულ პარკში” ფარგლებში, პროექტი დაფინანსებულია პოლონურ–ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ. ნებადართულია ამ ნაშრომის თავისუფლად გამოყენება, ზემოაღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის გამოყენებული ლიცენზიის, უფლებათა მფლობელის, პროექტის და დონორი ინსტიტუციის შესახებ
ინფორმაციის მითითების პირობით.

მოდულის შემუშავებისათვის ნაწილობრივ გამოყენებულ იქნა ეკოგანვითარების ფონდისა და მაჭახელას ეროვნული პარკის რესურსები.

რედაქტირება: კატაჟინა ზარემბა

ავტორები: მაგდალენა ბერეზოვსკა, მოდულის შემუშავებისათვის ნაწილობრივ გამოყენებულ იქნა ეკოგანვითარების ფონდისა და მაჭახელას ეროვნული პარკის რესურსები.
პრეზენტაციაზე მუშაობდნენ: მაგდალენა ბერეზოვსკა და ევა ზისკ-გორჟინსკა

გამოცემაზე მუშაობდნენ: ნანა ბაუჟაძე, გულნაზ სურმანიძე

თარგმანი: მანანა ლუჩაკ

ქართული გამოცემის რედაქტირება: ნანა ბაუჟაძე, ეკატერინე ხვედელიძე

დიზაინი და დაკაბადონება: ბარტლომიეი ბოგაშ

ნახატები: იაკუბ იუზეფჩუკ

ინფოგრაფიკა: არკადიუშ ვიეჟბა

www.bsea.ge

Region in Transition

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, პროგრამა „RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი „განათლება დემოკრატიისათვის.“

მაჭახელას ეროვნული პარკი
Machakhela National Park

Fundacja EkoRozwoju

BLACK SEA ECOACADEMY

კლასები	4–6
ბავშვების რაოდენობა ჯგუფში	20
აქტივობის ტიპი	საკლასო, გასვლითი
აქტივობის დასახელება	„დათუნია დრუნჩას ნამდვილად ტკბილად სძინავს? მურა დათვის ბიოლოგია, ეკოლოგია და მოსალოდნელი საფრთხეები“
საგანი	ბილოგია, ბუნება
აღწერა:	საკლასო აქტოვობა – თეორიული შესავალი მურა დათვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის საკითხებში. საველე აქტივობები – გასვლითი აქტივობის დროს მცენარეებსა და ცხოველების რაც შეიძლება მეტ სახეობაზე დაკვირვება, ცხოველების ნაკვალევის ძებნა, მათ შორის დათვის ნაკვალევის. ჭოგრიტების, გამადიდებელი შუშებისა და სახეობების კატალოგების გამოყენება. თამაშები და გასართობი აქტივობები მიღებული ცოდნის გასამტკიცებლად. ნაფეხურის თაბაშირის ნიმუშის აღება და დათვის შეხვედრის შემთხვევაში ქცევის წესების შესახებ პლაკატის მომზადება.
აქტივობის ხანგრძლივობა:	საკლასო აქტივობა – 2 × 45 გასვლითი აქტივობა – 4 × 45
საჭიროა თუ არა მოხალისეების ან მშობლების დახმარება?	დიახ, საჭიროა დახმარება გასვლითი აქტივოებების დროს ჩასატარებელი სავარჯიშოებისთვის მასალების მომზადებაში, ასევე ტექნიკური მხარდაჭერა გასვლითი აქტივობის მსვლელობისას.
აქტივობისთვის საჭირო მასალები:	■ პროექტორი, კომპიუტერი, პრეზენტაცია თემაზე „მურა დათვის ბიოლოგია და ეკოლოგია“.

აქტივობის შესახებ

აქტივობის იდეა/ განსახილველი საკითხი:

Power Point–ის პრეზენტაცია თემაზე „მურა დათვის ბიოლოგია და ეკოლოგია“, გასაუბრება აღნიშნულ თემაზე, გასვლითი აქტივობების ჩატარება, ნაფეხურის თაბაშირის ნიმუშის აღება და დათვის შეხვედრის შემთხვავაში ქცევის წესების შესახებ პლაკატის მომზადება.

აქტივობის ძირითადი მიზანი:

მურა დათვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა.

დათვის შეხვედრის შემთხვავაში მოქცევის წესების მიმოხილვა.

ზოგადსაბუნებისმეტყველო გასვლითი აქტივობები.

აქტივობის უშუალო მიზნები:

მოსწავლე:

- ეცნობა მურა დათვის ბიოლოგიასა და ჩვევებს
- იცნობს საველე პირობებში უსაფრთხოდ მოქცევის წესებს
- იცნობს უსაფრთხოების წესებს და შეუძლია ადეკვატურად იმოქმედოს ცხოველის შეხვედის შემთხვევაში
- შეუძლია ტერიტორიაზე დათვის აქტივობის ნიშნების შემჩნევა
- იცის, რა საფრთხე მოაქვს ამ ცხოველისთვის ადამიანს
- იცის, რა აკავშირებს დათვებსა და ფუტკრებს

მომზადება აქტივობისთვის

საკლასო აქტივობები: პრეზენტაცია, სამუშაო ბარათი, სახაზავი, ე.წ. რულეტკა–საზომი.

გასვლითი აქტივობებისთვის: ამინდის პროგნოზის შემოწმება, ამინდის შესაბამისი ტანსაცმელი, საგზალი, სამგზავრო აფთიაქი, დაგეგმილი მარშრუტი, ბავშვებისა და დიდაქტიკური მასალის მომზადება გასვლითი აქტოვობისთვის: სახეობების კატალოგი, გამადიდებელი შუშები, ჭოგრიტები, თაბაშირი, წყალი, მუყაო, კლიპ–ბაინდერები, ქაღალდის სამაგრები, ქაღალდის ფურცლები, ფანქრები, საღებავები.

აქტივობის მიმდინარეობა

თემის შესავალი – პრეზენტაცია

მასწავლებელი/ინსტრუქტორი აკეთებს თემის შესავალს (პრეზენტაციის გამოყენებით). იგი ყვება მურა დათვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის, ასევე მისი ჩვევების შესახებ. აცნობს უსაფრთხოდ მოქცევის წესებს დათვთან პირისპირ შეხვედრის შემთხვევაში და მიმოიხილავს იმ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება ცხოველის ამ სახეობას.

სავარჯიშო

1) **შედარება: დათვი – ადამიანი**

   მასწავლებელი დაურიგებს ბავშვებს დათვის თათის ნახატს მასშტაბით 1:1 (დამხმარე მასალა N1) და სთხოვს ბავშვებს, დაადონ ხელი ფურცელს და ფანქრით შემოხაზონ საკუთარი ხელის კონტური. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, შეადარონ საკუთარი ხელის მტევანი დათვის წინა თათს (განსხვავდებიან სიგრძით და სიგანით, ფრჩხილების / ბრჭყალების სიგრძით), რაში სჭირდება დათვს ასეთი გრძელი ბრჭყალები? (ბრჭყალები დათვის ბელებს ხეებზე აცოცვაში ეხმარება, ეს უნივერსალური ინსტრუმენტია, რომელსაც დათვები იყენებენ ბუნაგის გასათხრელად, მძიმე ქვების გადასაგორებლად, ხეების დასამტვრევად, თევზების დასაჭერად. დათვი ბრჭყალებს იყენებს როგორც წრიაპებს, ამიტომაც შეუძლია ადვილად გადაადგილება ციცაბო ფერდობზე, იქ სადაც ადამიანს გაუჭირდებოდა სიარული). მასწავლებელი პრეზენტაციის დროს დასახელებული ინფორმაციის საფუძველზე მოუწოდებს ბავშვებს დისკუსიისკენ და ადამიანისა და დათვის შორის რაც შეიძლება მეტი მსგავსებებისა და განსხვავებების მოძებისკენ.

   დამატებით: მასწავლებელს შეუძლია ამობეჭდოს და ბავშვებს დაურიგოს დათვის სურათი (დამხმარე მასალა N2). სთხოვოს მათ, დათვის შესახებ პასუხები დაწერონ ფურცელზე.

შეგვიძლია შევადაროთ:

1	წონა (ადამიანი – დაახ. 80 კგ, დათვი – დაახ. 500 კგ)
2	სხეულის სიგრძე (ადამიანი: დაახ. 170 სმ, დათვი – 250 სმ)
3	კუდის სიგრძე (ადამიანს არ აქვს, დათვი – 12 სმ)
4	საყვარელი საჭმელი (ადამიანი – ბავშვების მიერ დასახელებული მაგალითები, დათვი – თაფლი)
5	ფეხის ზომა (ადამიანი – ბავშვები ასახელებენ საკუთარი ფეხსახმლის ზომას, დათვი – 30 სმ)
6	თავის გარშემოწერილობა (ადამიანი – ბავშვები იზომავენ საკუთარ თავს, დათვი – 95 სმ)
7	„საყელოს“ გარშემოწერილობა (ადამიანი – ბავშვები იზომავენ საკუთარ თავს, დათვი – დაახ. 105 სმ)
8	კბილების რაოდენობა (ადამიანი – ბავშვები ითვლიან საკუთარი კბილებს, დათვი – 42)
9	დომინანტი შეგრძნებების ორგანოები (ადამიანი – მხედველობა, დათვი – ყნოსვა)
10	ორსულობა (ადამიანი – 9 თვე, დათვი – 8 თვე)
11	დამოუკიდებლად ფუნქციონირება (ადამიანი – ბავშვები ასახელებენ, დათვი – 2–3 წელი)
12	გაჩენილი ბავშვების რაოდენობა (ადამიანი – როგორც წესი 1, დათვი – 1-3 ან 2-6 ბელი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ)
13	დაბადებული პატარების წონა (ადამიანი – 2,8–3,8 კგ, დათვი – 350–500 გრამი).
14	სიცოცხლის ხანგრძლივობა (ადამიანი – დაახ. 70 წელი, დათვი – 30–40 წელი ველურ პირობებში, ხოლო ტყვეობაში 50 წელი)
15	ხელის მტევნის/თათის სიდიდე (ადამიანი – ბავშვები ზომავენ საკუთარ ხელებს, დათვი – 17–20 სმ ბრჭყალების გარეშე)
16	ფერების გარჩევა (ადამიანი – ძალიან კარგად არჩევს ფერებს, დათვი – ძალიან კარგად არჩევს მრავალფეროვან და ფერად საკვებს)
17	საკუთარი ტერიტორიის მონიშვნა (ადამიანი– ღობის, გალავნის აშენება, დათვი –საბინადრე ადგილის მოწყობა, ნაკვალევი, განავალი, ხეების დაზიანება)

პლაკატის მომზადება – უსაფრთხოების წესები

მოსწავლეები გაერთიანდებიან 4 კაციან ჯგუფებში. ისინი დიდ თაბახზე, ფანქრებისა და საღებავების გამოყენებით, ხატავენ პლაკატს მურა დათვის შეხვედრის შემთხვევაში უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც დაიმახსოვრეს გაკვეთილიდან. როდესაც გარკვეული დროის შემდეგ ყველა ჯგუფი დაასრულებს მუშაობას, თითოეული მათგანი წარმოადგენს პლაკატზე ასახულ წესებს, მასწავლებელი კი დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად მიმოიხილავს ამ წესებს.

გასვლით აქტივობა – სავარჯიშოები

შესავალი

გასვლითი აქტივობების და საბუნებისმეტყველო გასეირნების დროს ცოდნის გადაცემა წარმოადგენს გაკვეთილის დროის ყველაზე ეფექტურად ათვისების საშუალებას. გამომდინარე იქიდან, რომ გასვლითი აქტივობის დროს დათვთან შეხვედრა ნაკლებად მოსალოდნელია, გთავაზობთ ეს დრო გამოიყენოთ გარშემო არსებული მცენარეებსა და ცხოველებზე დაკვირვებისათვის, აღნიშნულ ტერიტორიაზე დათვების არსებობასთან კავშირში.

მასწავლებელმა / ინსტრუქტორმა ისე უნდა დაგეგმოს გასეირნების მარშრუტი, რომ არ იყოს ის ზედმეტად გრძელი, იყოს უსაფრთხო და მონაწილეების შესაძლებლობებთან შესაბამისი.

კარგი იქნება, თუ:

- გვეცოდინება, მცენარეების და ცხოველების რა სახეობები შეიძლება შეგვხვდეს გზაზე და წინასწარ მოვამზადებთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს მათ შესახებ, რათა მონაწილეებს მოვუყვეთ მსვლელობისას – განსაკუთრებით დათვების და მოცემულ ტერიტორიაზე მათი არსებობის შესახებ;
- წავიღებთ დაკვირვებისთვის საჭირო ინვენტარს (გამადიდებელი შუშები, ჭოგრიტები და ამ.), რათა დამოუკიდებლად დაკვირვების საშუალება მივცეთ ჯგუფს;
- მივცემთ ჯგუფს მცენარეების და ცხოველების კატალოგს, რათა დამოუკიდებლად შეძლონ სახეობების ამოცნობა და გარჩევა;
- მარშრუტს ისე დავგეგმავთ, რომ შესაძლებელი იყოს დამოუკიდებლად დაკვირვებისთვის შესვენებების გაკეთება, ერთობლივი სავარჯიშოების ჩატარება და ... უბრალოდ, ბუნებასთასთან საიხლოვის განცდა;
- გავითვალისწინებთ თამაშისა და შეჯიბრებებისთვის, ასევე თაბაშირის ნიმუშის აღებისთვის საჭირო დროს.

სავარჯიშოები:

1) თამაში – ცხოველთა მაძებარი

ვის არ უნდა იყოს ცხოვლეთა მაძებარი? ეს სავარჯოშო ბუნებაზე დაკვირვების უნარის გამომუშავებას უწყობს ხელს. საბუნებისმეტყველო გასეირნების დროს ბავშვების ამოცანაა, იპოვონ მაგ. ნაფეხურები, ბუნაგი, ბუდე, ფუღურო, ჭიანჭველების ბუდე, ფესვებით გადატრიალებული ხე, განავალი, დაზიანებული და ნიშანდადებული ხე, დღის ბუნაგი, ზამთრის ბუნაგი და აშ. „ხედავთ ადგილს, რომელიც დათვისთვის შესაფერისი იქნებოდა?“, „კიდევ რომელ სხვა ცხვოველს შეეძლო დაეტოვა ჩვენს მიერ შემჩნეული ნაკვალევი?“, „რა სახეობები თანაცხოვრობენ დათვთან ერთად მის ბუნებრივ გარემოში?“

2) დათვივით ფრთხილი

საჭიროა ქსოვილის ნაჭერები თვალების ასაფარებლად.

ცხოველები და ადამიანები შეიცნობენ სამყაროს მხედველობის, სმენის, გემოს, ყნოსვის და ტაქტილური შეგრძნების მეშვეობით. უმეტესობა ინფორმაციას გარემოს შესახებ ვიღებთ სათანადოდ განვითარებული ორგანოების მეშვეობით – თვალებით, ყურებით, ენით და ცხვირით, თუმცა არა მხოლოდ ეს ორგანოები გვაწვდის ინფორმაციას ჩვენს ირგვლივ არსებული ვითარების შესახებ. ადამიანების და ცხოველების შეგრძნებები ექვემდებარეობოდა და კვლავაც ექვემდებარება ევოლუციას, რადგან ისინი გარემო პირობებზეა დამოკიდებული. ზოგი შეგრძნება მიძინებულია, ზოგი კი – გამძაფრებული. იმის გამო, რომ შეგრძნებები გვეხმარება, მივიღოთ და აღვიქვათ ინფორმაცია გარემოდან, შეგვიძლია არა მხოლოდ შევიცნოთ სამყარო და ვისწავლოთ, არამედ ისინი ასევე გვაძლევს ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარების საშუალებას. შეგრძნებები გარემოში კარგად ფუნქციონირებაში გვეხმარება.

ბავშვებს ვაერთიანებთ წყვილებად. ერთ–ერთ მათგანს აქვს ახვეული თვალები და ამ თამაშში დათვის როლს ასრულებს. ამის წყალობით მისი სხვა შეგრძნებები – სმენა, ყნოსვა, ტაქტილური შეგრძნება და გემო, მძაფრდება. მეორე ბავშვი, რომელსაც არ აქვს ახვეული თვალები, არის ერთგვარი გიდი – ის ეხმარება პარტნიორს ტყეში / პარკში სხვადასხვა ადგილამდე (ხე, ბუჩქები, ქვები, საკვების ადგილი) უსაფრთხოდ გადაადგილებაში, ისე რომ თვალებახვეულმა ბავშვმა, სხვა შეგრძნებების გამოყენებით, გამოიცნოს ის ადგილი, სადაც იგი პარტნიორმა მიიყვანა. მასწავლებლის მიერ დანიშნული დროის გასვლის შემდეგ ბავშვები ცვლიან როლებს.

ზემოაღნიშნული თამაში წარმოადგენს ერთგვარ შესავალს დათვების მიერ გამოყენებული შეგრძნებების შესახებ საუბარში:

- რა შეგრძნებები აქვთ კარგად განვითარებული დათვებს?
- მხედველობა თუ ყნოსვა? რატომ?
- რაში ეხმარება მას ეს შეგრძნება?
- რასთან ადაპტირებისთვის გამოუმუშავდა მას ეს შეგრძნება?
- ადამიანი უფრო მალე დაინახავს დათვს, თუ დათვი უფრო მალე იგრძნობს ადამიანის მოახლოვებას?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ტყეში საკვების ნარჩენების დატოვების აკრძალვის წესი?

3) თაბაშირის ნიმუშები

ტყეში მობინადრე ძუძუმწოვრებს იშვიათად შევხვდებით, რადგან უმეტესობა მათგანი ადვილად ფრთხება, გარბის ან ღამით აქტიურობს, მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ისინი ტყეში არიან და კვალს ტოვებენ. ყველაზე უკეთ შენარჩუნებულ ნაფეხურებს ვნახავთ თიხიან მიწაზე, მდინარეების ან გუბურების პირას, ბილიკებზე და ნოტიო ნიადაგზე. ცხოველების თათების ნაფეხურების ნიმუშის აღება.

გვჭირდება:
• თაბაშირი
• წყალი
• მუყაოს ზოლი
• საოფისე კლიპ–ბაინდერი
ნაპოვნი ნაფეხური და მისი მიმდებარე არეალი გავასუფთაოვთ ბალახის ღეროთი. მუყაოს ზოლისგან შევკრათ წრე და ჩავარჭოთ მიწაში, შევკრათ კლიპ–ბაინდერით. თაბაშირი გავხსნათ წყალში, არაჟნის კონსისტენციის მიღებამდე, და აუჩქარებლად ჩავასხათ ყალიბში. დაახლოებით 30 წუთის შემდეგ შეგვიძლია ნაზად ავიღოთ თაბაშირი მუყაოსთან და მიმაგრებულ მიწასთან ერთად. ამ ფორმით მივიტანოთ კლასში, სადაც ნაზად გავასუფთავებთ ნიმუშს რბილი ჯაგრისით (მაგ. კბილის ჯაგრისით). ამის შემდეგ შეგვიძლია დავაწებოთ მას სტიკერი, მივუთითოთ ცხოველის დასახელება და სხვა ინფორმაცია.

4) გასვლითი თამაში

თუ ბავშვები ნამყოფები არიან მოცემულ ტერიტორიაზე და იცნობენ მას, შეგვიძლია გავაერთიანოთ ისინი ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი მოამზადებს ისრებს და შესასრულებელ ამოცანებს, შემდეგ გაიქცევა. მეორე ჯგუფი მიჰყვება ისრებს, ასრულებს დავალებას და ცდილობს დაეწიოს პირველ ჯგუფს. თამაში შეიძლება პატარა მონაკვეთზე იყოს ორგანიზებული.

არსებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის

მურა დათვის შესახებ:

მურა დათვი არის დათვის ყველაზე გავრცელებული სახეობა მსოფლიოში. იგი გვხვდება ევროპაში, აზიაში და ჩრდილო ამერიკაში, ასევე ჩრდილოეთში არქტიკულ ტუნდრაში, მშრალ უდაბნოებში. თავად ევროპაში მურა დათვის ყველაზე დიდი პოპულაცია გავრცელებულია ჩრდილო ევროპაში (კარელია, ბალტიისპირეთი, სკანდინავია), რომელიც ვრცელდება სკანდინავიიდან, ფინეთის გავლით და რუსეთის ევროპულ ნაწილიდან ურალამდე, სადაც უერთდება ჩრდილოაზიურ პოპულაციას ციმბირიდან ჩუკოტკამდე, კამჩატკამდე და კორეის ნახევარკუნძულამდე. ცენტრალურ აზიაში შედარებით გაფანტულად ბინადრობს, წვდება ჰიმალაის მთის მასივებს და მცირე აზიას. მურა დათვი ასევე ბინადრობს სახალინის ნახევარკუნძულზე და ჰოკაიდოს კუნძულზე. ჩრდილო ამერიკაში ეს სახეობა გავრცელებულია ძირითადად ალასკაში და დასავლეთ კანადაში.

მსოფლიოში არის 200 ათასზე მეტი მურა დათვი. ყველაზე მრავალრიცხოვანი არის რუსული პოპულაცია, რომელიც 1990 წელს 125 ათას დათვს მოიცავდა, მათ შორის დაახლოებით 36 ათასი რუსეთის ევროპულ ნაწილში იყო გავრცელებული. შეერთებულ შტატებში (ძირითადად ალასკაში) ბინადრობს დაახლ. 33 ათასი მურა დათვი, კანადაში 25 ათასი, ხოლო ევროპაში (რუსეთის გარეშე) – დაახლოებით 14 ათასი.

> მურა დათვი გავრცელებულია მაჭახელას ეროვნული პარკის მთლიან ტერიტორიაზე, რაც გამოწვეულია ტყეების მაღალი პროდუქტიულობით და კენკროვანი ხილის სიუხვით (წაბლი, მოცვი, მოცხარი, თხილი, კაკალი, წიფელი), რომელიც მურა დათვის ძირითად საკვებს წარმოადგენს. **მაჭახელას ეროვნულ პარკში დაახლოებით 25–მდე მურა დათვი ბინადრობს**.

ბიოლოგია და ეკოლოგია:

ამ სახეობას აქვს მაღალი სივრცითი და დაბალი რეპროდუქტიული საჭიროებები. **იგი ძალიან მგრძნობიარეა ბუნაგის დაკარგვის ან დანაწილების მიმართ**. დათვებისთვის რთულ მომენტს წარმოადგენს ზამთრის ძილის პერიოდი, როდესაც ადამიანის მხრიდან ხელის შეშლის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი ხდებიან.

მურა დათვი ჭამს ყველაფერს. დათვების კვების რაციონი იცვლება საკვების ხელმისაწვდომობისა და წელიწადის დროის მიხედვით. ზომიერი სარტყელების ტყეებში დომინირებს მცენარეული საკვები და უხერხემლოები, ხოლო ტუნდრაში – ხერხემლიანები. ზოგიერთ რეგიონში ანთროპოგენური საკვები (მაგ. სანადირო ცხოველების საკვები შენარევი, ხილი ბაღებიდან, ნარჩენები) წარმოადგენს დათვის რაციონის ძირითად შემადგენელს.

მურა დათვის რეპროდუქტიული პერიოდი იწყება, როგორც წესი, მაისის დასაწყისში და გრძელდება ივლისამდე. პატარები იბადებიან ზამთრის ძილის პერიოდში – დეკემბრიდან მარტამდე პერიოდში. პატარები ბეწვის საფარის გარეშე იბადებიან, ვერ ხედავენ. **იწონიან დაახლოებით 350–500 გრამს**. მურა დათვი **საშუალოდ 1-3 ან 2-6 ბელს შობს**. ერთი შობადობის დროს დაბადებულ ბელებს შეიძლება სხვადასხვა მამები ჰყავდეთ. დედა პატარებს 1,4–3,5 წლამდე უვლის.

ზამთრის ძილის პერიოდი **7 თვეზე მეტი შეიძლება გაგრძელდეს (შორეულ ჩრდილოეთში)**, შედარებით თბილ რეგიონებში დათვები შეიძლება მთელი წლის განმავლობაში აქტიურობდნენ. ზოგადად, განედის ზრდასთან ერთად იზრდება ჰიბერნაციის პერიოდი. მაკე მდედრი დათვები პირველები შედიან ბუნაგში და ბოლოები გამოდიან იქიდან. მაისის შუა პერიოდამდე დედა დათვი და ბელები ბუნაგთან შედარებით ახლოს ტრიალებენ. ზრდასრული მამრი დათვები ბოლოს შედიან ბუნაგში და პირველები იღვიძებენ. ჰიბერნაციის პერიოდი ასევე დამოკიდებულია ასაკზე. მიუხედავად იმისა, რომ დათვები, ზოგადად, ეჩვევიან საკუთარი ბინადრობის ადგილს, ისინი იშვიათად შედიან ერთასა და იმავე ბუნაგში.

ბუნებაში დათვებს შეუძლიათ 30 წლამდე იცოცხლონ, ტყვეობაში კი ყველაზე ხანდაზმულმა მამრმა დათვმა 50 წელს მიაღწია, მდედრმა კი – 42 წელს.

დათვს აქვს სუსტი მხედველობა, სამაგიეროდ კარგად აქვს განვითარებული ყნოსვა (მას ადამიანზე ასჯერზე უკეთესი ყნოსვა ახასიათებს) და სმენა, შესაბამისად აღიქვავს ადამიანის მოახლოებას გაცილებით ადრე, ვიდრე მას ადამიანი დაინახავს. კბილები კარგად აქვს განვითარებული და მორგებული საკვების დაჭყლეტვისთვის, ხოლო ლოყის კბილებს, სხვა მტაცებლებთან შედარებით, აქვთ საკმაოდ ბრტყელი და ფართო გვირგვინი.

შეხვედრა დათვებთან:

დათვების მხრიდან აგრესიული განწყობა ძალიან იშვიათად გვხვდება. ასეთი საქციელს ძირითადად აქვს ადგილი, როდესაც დათვის მოულოდნელად წავაწყდებით.

დათვთან უშუალოდ შეხვედრისას **უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე**, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივუახლოვდეთ მას. თუ დათვი ვერ გრძნობს ჩვენს მიახლოვებას, უნდა დავიხიოთ უკან ჩუმად და აუჩქარებლად. არ უნდა დავაკვირდეთ მას და არ უნდა ვიყვიროთ, ვინაიდან ამით შეიძლება მისი მხრიდან იერიშის პროვოცირება მოვახდინოთ. თუ ახალგაზრდა ცნობისმოყვარე ბელი დავინახეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი დედა, დიდი ალბათობით, ახლოსაა. **უნდა მოვბრუნდეთ და დავტოვოთ ადგილი იგივე გზით, რომლითაც მივედით.**

თუ დათვმა უკვე შეგამჩნიათ, შეინარჩუნე სიმშვიდე და დარჩი ადგილზე.
არ გაიქცე, ვინაიდან შეიძლება დათვი გამოგეკიდოს!

დაიხიეთ უკან ნელა და ფრთხილად იგივე გზაზე, რომლითაც მიხვედით – არასდროს არ გაიქცეთ! მუდმივად დააკვირდით დათვს. ეცადეთ, იყოთ თავშეკავებული. შეხვედრისას არ შეხედოთ დათვს თვალებში (ცხოველებისთვის ეს აგრესიის ნიშანია). თუ დათვი მოგიახლოვდათ, გაჩერდით ადგილზე და მშვიდი ხმით დააწყნარეთ ის. თუ გაჩერდა, უკან დახევით გაზარდეთ დისტანცია. შეეცადეთ, გზიდან ჩამოშორდეთ.

როდესაც ამჩნევთ, რომ დათვი იერიშზე გადმოსვლას აპირებს, შეეცადეთ მისი ყურადღება გადაიტანოთ – წინ დადეთ რაიმე ნივთი. თუ ეს უშედეგო აღმოჩნდა, დაწექით პირქვე, ფეხები ოდნავ გაშალეთ, ხელებით თავზე და კისერზე დაიფარეთ. თუ ზურგჩანთა გაქვთ, ის თქვენს ზურგს დაიცავს. მუცლით მიიზიდეთ მიწაზე ან მიიღეთ ემბრიონალური პოზიცია. თავი მოაჩვენეთ, თითქოს მკვდარი ხართ. იყავით რაც შეიძლება მეტად პასიურები, ამით ნაკლებად საშიშად მოეჩვენებით ცხოველს. როდესაც დათვი ჩათვლის, რომ მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენთ, წავა. როდესაც შეტევა დასრულდება, დარჩით მწოლიარე პოზიციაში და დაელოდეთ, სანამ დათვი საბოლოოდ არ დაგშორდებათ.

ნარჩენებთან დაკავშირებული წესები

- ვიზიტორების მიერ ნებისმიერი ნარჩენების გადაყრის აკრძალვა (განსაკუთრებით საკვების ნარჩენების, ბუტერბროდების და აშ.)
- სახლებთან და კვების ობიექტებთან ნაგვის ურნების დალუქვა – დახურული კონტეინერები ან ელექტრო ღობე.
- ნარჩენების ხშირად გატანა
- განათლება, განათლება და კიდევ ერთხელ – სისუფთავე.

რა აკავშირებს დათვებს და ფუტკრებს? თაფლი ყოველთვის დათვების და ადამიანების ნუგბარს წარმოადგენდა, ხოლო სადაც თაფლია, იქ არის ფუტკრები. აი სად იწყება პრობლემები... ამიტომაც სკები უნდა შემოვფარგლოთ სამი რიგი ელექტრო ღობით, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში მუდმივად იქნება ჩართული!

დამხმარე მასალა N1

დათვის თათი

დამხმარე მასალა N2

მურა დათვი – ძირითადი ინფორმაცია

საქართველოში გავრცელებული დათვების რაოდენობა .....

სიცოცხლის ხანგრძლივობა .....

შეგრძნებების ორგანოები .....

თავის გარშემოწერილობა .....

„საყელოს“ გარშემოწერილობა .....

კუდის სიგრძე .....

კბილების რაოდენობა .....

„ფეხის“ ზომა .....

თათის ზომა .....

საყვარელი საკვები .....

სხვა.....

სხეულის სიგრძე .....

წონა .....